დანართი №1
2017 წლის 19 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ადგ.საპრ.№1-17 ხელშეკრულებაზე (CMR170134694)

თბილისი **18.08.2017წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ნუგზარ გასვიანის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შიშინაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის 2017 წლის 18 აგვისტოს №7426-2 მოხსენებითი ბარათისა და 2017 წლის 19 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგ.საპრ.№1-17 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2017 წლის 19 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ადგ.საპრ.№1-17 ხელშეკრულებაში (ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი-აეროპორტი-წრნიაშის საავტომობილო გზის პირველი კილომეტრის, დაახლოებით 800 მეტრიანი სიგრძის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მის შესაბამისად ტექნიკური დავალების შედგენაზე მომსახურების გაწევა) (შემდგომში - ხელშეკრულება) და მომსახურების გაწევის დასრულების ვადად 2017 წლის 19 აგვისტოს ნაცვლად განისაზღვროს 2017 წლის 31 აგვისტო.
2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
3. ამ დანართით განსაზღვრული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
5. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
ნუგზარ გასვიანი

მიმწოდებელი
შპს „პროექტირება,მშენებლობა
ექსპერტიზა“
დირექტორი
თამაზ შიშინაშვილი